მაყურებელი უკმაყოფილო დარჩა...

როსტოვი. “როსტსელმაშის” სტადიონი. 2 მაისი.

სკა (როსტოვი) - “დინამო” (თბილისი) 3:0 (2:0).

“დინამო”: კოტრიკაძე, ბ. სიჭინავა, ხურცილავა, ჩოხელი, წუწუნავა, იამანიძე, პეტრიაშვილი, მეტრეველი, კალოევი, დათუნაშვილი, მესხი.

სკა: ივანოვი, გეტმანოვი, აფონინი, მედვედევი, ჩერტკოვი, შიკუნოვი, მატვეევი, ანდრიენკო, დორონინი, პონედელნიკი, მოსალევი.

მსაჯი ე. ჰიარმსი (ტალინი).

ყველასათვის გასაგებია ის სიხარული, რომელსაც თვითეული გულშემატკივარი განიცდის თავისი გუნდის გამარჯვებისას. ასე გახარებულები წამოვედით ჩვენ 2 მაისს “როსტსელმაშის” სტადიონიდან, მაგრამ დაუფარავად, გულახდილად უნდა ვთქვათ, რომ ამ სიხარულში ერია თავისებური სინანულისა და, თუ გნებავთ, გაუგებრობის გრძნობაც, რომელიც ფეხბურთის ნამდვილ მოყვარულთა შორის დატოვა განვლილმა მატჩმა.

დამარცხება ფეხბურთში ათასგვარ ვარიანტში შეიძლება მოხდეს. დასაშვებია ლიდერმა წააგოს თამაში ისეთი ანგარიშითაც კი, როგორიცაა 0:3. ყველაფერი ეს გასაგებია, მაგრამ გაუგებარია, ის თამაში, რომელიც დინამოელებმა აჩვენეს როსტოვში. თბილისის ნამდვილი გუნდი ჩვენ ვნახეთ მხოლოდ პირველი 10 წუთის მანძილზე. საკმარისი იყო ერთი ბურთის გაშვება და “დინამოს” თამაში აირია ისე, რომ მისი სისტემისაგან არ დარჩა ნატამალიც კი. მაგრამ, ასეა თუ ისე, გუნდი მაინც ჰგავდა გუნდს. მოთამაშეები იბრძოდნენ, მოძრაობდნენ, ხოლო მას შემდეგ, რაც გატანილ იქნა მესამე გოლიც და მატჩის დამთავრებამდე დარჩა 20 წუთი, დინამოელებმა საერთოდ შეწყვიტეს თამაში. სრულ უფლებას ვაძლევთ ჩვენს თავს განვაცხადოთ, რომ ამ ხნის განმავლობაში თბილისელები აბსოლუტურად უმოქმედოდ იყვნენ. ისინი არავითარ სურვილს არ ამჟღავნებდნენ როგორმე მაინც ეთამაშათ და გასაკვირიცაა, როგორ გაიყინა ანგარიში 3:0-ზე.

ძალზე საწყენი, პირდაპირ კურიოზული იყო ასეთი თბილისის “დინამოს” ხილვა და სწორედ ამიტომ დაგვრჩა როსტოველ მაყურებლებს უკმაყოფილების გრძნობა. ყოველგვარ კრიტიკაზე დაბლა იდგა ნახევარდაცვის თამაში, უმოქმედობდა თავდასხმა, სადაც არც ერთი სახიფათო მომენტი არ შეუქმნიათ მესხსა და მეტრეველს. განაპირა მცველები ბ. სიჭინავა და წუწუნავა ვერაფერს უხერხებდნენ მოწინააღმდეგე გარემარბებს. ყველაზე წყნარ და უშფოთველ ადგილს მინდორზე წარმოადგენდა როსტოველთა კარი, რომლის დარაჯს ივანოვს შეეძლო სრულიად აუღელვებლად ეყურებინდა თუ რა ხდებოდა მოპირდაპირე კართან. მის მხარეს შემთხვევით დარტყმასაც არ ჰქონია ადგილი.

პირველი გოლი გატანილ იქნა მე-10 წუთზე. მატვეევი სწრაფად შეიჭრა თბილისელთა საჯარიმო მოედანზე და გოლი თითქმის გარდაუვალი იყო, როცა ჩოხელი ხელით შეეხო ბურთს. პენალტი რეალიზებულ იქნა თვით მატვეების მიერ - 1:0.

შუა ტაიმში ანდრიენკომ შორი მანძილიდან მოულოდნელად დაარტყა კარში. კოტრიკაძის დაგვიანებულ რეაქციას შედეგი არ მოჰყვა და მეორე ბურთი აღმოჩნდა თბილისელთა კარში - 2:0.

66-ე წუთზე მატვეევი ბურთიანად გავიდა საჯარიმო მოედნის ცენტრში და დამცველებთან ბრძოლისას უეცრად დაარტყა კარში. კოტრიკაძე არც ახლა იყო მზად და მხოლოდ ბადეში მიუსწრო ბურთს - 3:0.

ამის შემდეგ, როგორც ზევით ვთქვით, თამაშმა დაკარგა ყოველგვარი ინტერესი. სტადიონი უცდიდა მხოლოდ მსაჯის საფინალო სასტვენს და ეტყობოდა, ამ მოლოდინში პირველნი იყვნენ თბილისის "დინამოს" მოთამაშეები, რომლებიც მოუთმენლად უცდიდნენ მატჩის დამთავრებას.

დინამოელებმა წააგეს დუბლიორთა მატჩშიც - 0:1.

ა. კირსანოვი, დ. კრიმსკი.
"ლელო", 4 მაისი, 1963 წ.